ხობის მოამბე

№2 (7117)
17 თებერვალი, ორშაბათი,
2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლების კრებები ჩატარდა



13 თებერვალს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის ათ სოფელში (თორსა, დღვაბა, საბუკიო, ხამისკური, საკუკავო, საქირიო, ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა, ხეთა) დასახლების კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია გაიმართა.

მოსახლეობის უმრავლესობამ თორსასა და საბუკიოში –სანიაღვრე არხების ამოწმენდის, დღვაბაში–საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის, ხამისკურში–სანიაღვრე არხის ამოწმენდის, საკუკავოში–სპორტული მოედნის კეთილმოწყობის, საქირიოში-საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის, ნოჩხონში–სანიაღვრე არხის ამოწმენდის, ოხვამეკარში –გზის მოხრეშვის, ხეთაში–გზაზე ბეტონის საფარის დაგების, წინაგოლაში–გარე განათების მოწყობის შესახებ საპროექტო წინადადებებს დაუჭირა მხარი.

დასახლების საერთო კრებებს საქართველოს პარლამენტის წევრი ხობის მაჟორიტარი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

პროგრამა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემადგენელი ნაწილია. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ დასაფინანსებელი პროექტების კატეგორიებია: სარწყავი სისტემები; სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.); სანიაღვრე არხები; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გზები და გზისპირა მოსაცდელები; ხიდები, ცხაურები, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები; გარე განათება; სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; მინი-ჰესების მოწყობა და რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად 784 ათასი ლარი გამოეყო.

მუნიციპალიტეტის სოფლებში კრებების გამართვა 13 თებერვალს დაიწყო და 20 თებერვლამდე ყველა დასახლებაში ჩატარდება.

გიორგი გახარია 2019 წლის საუკეთესო ქართველ სპორტსმენებს შეხვდა

პრემიერმინისტრი 2019 წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენის ტიტულის მფლობელებს შეხვდა და გამარჯვება პირადად მიულოცა.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, **გიორგი გახარიამ ლუხუმ ჩხვიმიანს, ლაშა ტალახაძეს, ბექა ლომთაძეს, ნუგზარ წურწუმიასა** და **ლაშა გობაძეს** სპეციალურად მათთვის გამართულ ვახშამზე უმასპინძლა.

ქართული სპორტის ისტორიაში პირველად, 2019 წელს, ექვსივე სპორტსმენმა ქვეყანას ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონის მედალი მიუტანა, რის გამოც საქართველოს მთავრობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ყველა მათგანს წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენის ტიტული მიანიჭა.

გიორგი გახარიამ, ჩემპიონებს ქართულ სპორტში შეტანილი წვლილისთვის და მისი პოპულარიზაციისთვის დიდი მადლობა გადაუხადა და მომავალ ასპარეზობებში წარმატებები უსურვა.

ვულოცავთ

ნუგზარ წურწუმია ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია!

რომში, მიმდინარე ევროპის პირველობაზე, წარმატებით იასპარეზა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა ნუგზარ წურწუმიამ. ხობელმა ფალავანმა მესამე ადგილისთვის შეხვედრაში რუმინელი ფლორინ ტიტა აშკარა უპირატესობით–8:0 დაამარცხა და საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს პირველი მედალი მოუპოვა.

ქარიატის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გასინჯვა ჩაუტარდა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ორგანიზებით ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობას უფასო სამედიცინო გასინჯვა ჩაუტარდა.

ადგილობრივ მოსახლეობას კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება თერაპევტმა, კარდიოლოგმა და პედიატრმა ჩაუტარა.

მოსახლეობის უფასო გასინჯვები პერიოდულად გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პროექტების შერჩევა დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით გაიმართება დასახლებების საერთო კრებები და ამომრჩევლებთან კონსულტაციები.

ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება შეწყდება შესაბამის დასახლებაში დასახლების საერთო კრების ან მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის თარიღამდე სამი დღით ადრე.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ წარმოადგინონ საპროექტო წინადადებები შემდეგი მიმართულებით:

სარწყავი სისტემები; სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

სანიაღვრე არხები;

ნაპირსამაგრი სამუშაოები;

გზები და გზისპირა მოსაცდელები;

ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;

გარე განათება;

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

ამბულატორიის შენობები;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;

წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

„დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, რეგიონში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროექტის, ტრენინგ კურსის „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ შესახებ საინფორმაციო სახის შეხვედრა გაიმართა.

პროექტი, ბიზნესის სტიმულირებისა და განვითარების მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში, მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნულ პროექტს „შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ (ILO), „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან“, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან“, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან“ და „აწარმოე საქართველოსთან“ ერთად ახორციელებს.

შეხვედრას, ბიზნესის დაწყებით დაინტერესებული პირები და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პატარა ფოთში ბაღის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად კეთილმოეწყობა საძინებელი და სათამაშო ოთახები.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 12441 ლარს შეადგენს.

2013 წლიდან დღემდე ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აშენდა ორი და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შვიდ საბავშვო ბაღს.

ახალსოფელი

ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 12097 ლარს შეადგენს. სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ საბავშვო ბაღში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სარეაბილიტაციო სამუშაოები პარალელურად ხობის მუნიციპალიტეტის 6 საბავშვო ბაღში მიმდინარეობს.

ხიდი შენდება

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ცივზე ახალი ხიდი შენდება. ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 612 ათასი ლარია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ხიდის მშენებლობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო.

არსებული ხიდი ავარიულ მდგომარეობაში იყო და ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე სატრანსპორტო მოთხოვნებს.

სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე მოქალაქეები დროებითი სახიდე გადასასვლელით ისარგებლებენ.

ახალი ხიდის მშენებლობა ივლისამდე დასრულდება და საავტომობილო გზაზე მგზავრობა უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

თორსა-დღვაბის გაზიფიცირებაზე ტენდერი გამოცხადდა

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირების სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 მილიონ 13 ათასი ლარია.

პროექტის მიხედვით თორსაში, დღვაბაში, საბუკიოსა და ოქროს საწმისში მცხოვრები 420 აბონენტი შეძლებს ბუნებრივი აირით სარგებლობას.

ელისო კვიკვინია: „2020 წელი უფრო წარმატებული იქნება“

ქალბატონო ელისო, თქვენ ძალიან ახალგაზრდამ გაიარეთ გზა განათლების სისტემაში, ვიდრე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი გაერთიანების დირექტორი გახდებოდით, შემდეგ კი ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ბრძანდებით, რას ნიშნავს თქვენთვის ეს ნდობა?

–დიახ, მართალი ბრძანდებით. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავიწყე მუშაობა სოფელ პირველი მაისის №2 საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. 2007 -2013 წწ. ვმუშაობდი ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო აღმზრდელობით დარგში, ხოლო 2013 წლიდან ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების“ დირექტორად.

2019 წლის დასაწყისიდან ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად დავინიშნე. სკოლასთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია, დღესაც ვმუშაობ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლად, უფროსი მასწავლებლის სტატუსით.

განათლების სფეროში მოღვაწეობა ჩემთვის დღესაც ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ სფეროში შეძენილი პროფესიული თუ სოციალური უნარები დღესაც მეხმარება საკუთარი კარიერის მართვასა და ზოგადად, წარმატებაში.

კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსად დანიშვნა ჩემთვის უდიდესი პატივი და ნდობაა. ნდობისთვის მადლობას ვუხდი მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას, მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას. ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნიშნავს დიდ პასუხისმგებლობას და, იმედია, ჩემი საქმიანობით გავამართლებ ამ ნდობას.

საინტერესოა რა გამოწვევებსა და პროექტების წინაშე დგას თქვენი სამსახური?

–ჩვენი სამსახური უფლებამოსილია, ჩაატაროს კულტურული ღონისძიებები, ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობისა და საგანმანათლებლო-საალმზრდელო პროცესის კოორდინაციას, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

სამსახურში ფუნქციონირებს ორი განყოფილება: „კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება“ და „სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება“, რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურული და სპორტული ღონისძიებების გეგმების შემუშავებასა და სამსახურის უფლებამოსილებათა განხორციელებას.

თქვენს კომპეტენციაში შემავალი ა(ა)იპ-ები მრავალმხრივია. გვიამბეთ ვინ არიან ისინი. როგორი იყო მათთვის გასული წელი და როგორ დაიწყო 2020?

–მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დაქვემდებარებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებია:

ა(ა)იპ„ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრი“(დირექტორი კობა კობახიძე);

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“(დირექტორი ბეჟან ბერაია);

ა(ა)იპ„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანება“ (დირექტორი ეკა ხასია).

ადგილობრივი თვითმმართველობის სრული მხარდაჭერით, საკრებულოს სოციალურ საკითხთა და განათლების კომისიასთან (თავმჯდომარე ქალბატონი დოდო გაბუნია), დარგის კურატორთან (ბატონი მახარე ჩოკორაია) თანამშრომლობით სამსახურმა და სამსახურს დაქვემდებარებულმა თითოეულმა ა(ა)იპ-მა 2019 წელი წარმატებით დაამთავრა. 2020 წელიც ძალიან საინტერესოდ დაიგეგმა, ვიმედოვნებთ, რომ უფრო წარმატებული იქნება.

2020 წლის 20 იანვარს სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი განახლდა. კვების პროდუქტებზე გამოცხადდა ტენდერები, რის გამოც დროულად მოხერხდა ბაღების მომარაგება ხარისხიანი კვების პროდუქტებით. წლის დასაწყისშივე დაიწყო სარემონტო სამუშაოები: ხამისკურის, თორსის, ახალი სოფლის, ნოჯიხევის №2, პატარა ფოთისა და გურიფულის საბავშვო ბაღებში.

ჩვენი სამსახურისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო გასული წელი. 2019 წელს სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები. გამოვყოფდი მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს: კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის, ლაშა ღლონტის, დათო არჩვაძის, „თბილისური კვარტეტისა“ და ანსამბლ „ერისიონის“კონცერტებს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ცენტრალური პარკის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რუსთაველის თეატრის მსახიობის ბატონ მურმან ჯინორიას პოეზიის საღამოს, საახალწლო-საშობაო კონცერტს (ანსამბლ „კოლხეთის“, ბენდ „ოქროს ხმის“; გიორგი გუგავასა და ჯგუფ „შეენთეზის“ მონაწილეობით).

გოგიტა ჩიტაიამ დააფუძნა და დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება სახელწოდებით „დიალოგი ჭადრებთან“. პირველი ღონისძიება მიეძღვნა ქალაქ ხობის ისტორიას და ქალაქის ახალგახსნილ პარკში ჩატარდა. გოგიტას უშუალო მონაწილეობით გამოიცა სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) წიგნი და რუკა „ხობის მუნიციპალიტეტი“, რომელიც საცნობარო ხასიათისაა. მასში მოკლედ არის გადმოცემული ცნობები ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ბუნების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. წიგნი და რუკა განკუთვნილია ტურისტებისა და ზოგადად, ხობის მუნიციპალიტეტით დაინტერესებულ პირთათვის.

ძალზე მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ ჩვენს სპორტსმენებს. რას გვეტყვით მათ შესანიშნავ მიღწევებზე?

–ხობის მუნიციპალიტეტი ყოველთვის განთქმული იყო თავისი სპორტული ისტორიით, ბრინჯაოსა და ვერცხლის პრიზიორები გახდნენ; ევროპის ჩემპიონი ანრი ბუკია გახდა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორი–გოჩა სიჭინავა.

ანა ხუნჯუამ 22 წლამდელთა შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კრივში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გახდა პირველი მოკრივე ქალი. ასევე კრივში ჭაბუკთა შორის წარმატებული იყო დემურ ქაჯაია, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტში საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ გვერდით უკვე მეორე წელია ასპარეზობს ქალთა საფეხბურთო გუნდი „კოლხეთი“. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბს „კოლხეთი“, მიუხედავად სიძნელეებისა, გუნდმა შეძლო მეექვსე ადგილის მოპოვება და 2020 წელს ისევ მესამე ლიგაში იასპარეზებს.

სპორტის ეროვნული ფედერაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით ჩვენი სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება რამდენიმე წელიწადია მართავს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას სხვადსხვა სახეობებში.

ჩვენი სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიმდინარე წელსაც გაგრძელებს ტრადიციული, ეროვნული სპორტის

ქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელი და 2 საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწე ჰყავს და უძღვება სამწვრთნელო საქმეს (რომან მორგოშია, კობა თუთბერიძე, მამუკა ყორშია, ედიკა თოდუა, ალმასხან ხუნჯუა, მამუკა გეთია და ინდირა გრიგოლიანცი).

2019 წელს მწვრთნელებმა და ახალგაზრდა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეს მსოფლიო ჩემპიონ ნუგზარ წურწუმიას წარმატება. ნუგზარი 2019 წელს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.

წარმატებული აღმოჩნდა მკლავჭიდელთა ორთაბრძოლებიც ევროპისა და მსოფლიო ასპარეზზე სპორტსმენებისთვის: საბა ლატარიამ. საბა დანელიამ, დათუნა ჟიშკარიანმა და გულადი ბუკიამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს 15 წლამდელთა და 21 წლიანთა შორის. გიგა კოდუა და გოგა დანელია კი

2020 წელიც ძალიან საინტერესოდ დაიგეგმა, ვიმედოვნებთ, რომ უფრო წარმატებული იქნება.

2020 წლის 20 იანვარს სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი განახლდა. კვების პროდუქტებზე გამოცხადდა ტენდერები, რის გამოც დროულად მოხერხდა ბაღების მომარაგება ხარისხიანი კვების პროდუქტებით. წლის დასაწყისშივე დაიწყო სარემონტო სამუშაოები: ხამისკურის, თორსის, ახალი სოფლის, ნოჯიხევის №2, პატარა ფოთისა და გურიფულის საბავშვო ბაღებში.

ჩვენი სამსახურისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო გასული წელი. 2019 წელს სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები. გამოვყოფდი მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს: კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის, ლაშა ღლონტის, დათო არჩვაძის, „თბილისური კვარტეტისა“ და ანსამბლ „ერისიონის“კონცერტებს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ცენტრალური პარკის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რუსთაველის თეატრის მსახიობის ბატონ მურმან ჯინორიას პოეზიის საღამოს, საახალწლო-საშობაო კონცერტს (ანსამბლ „კოლხეთის“, ბენდ „ოქროს ხმის“; გიორგი გუგავასა და ჯგუფ „შეენთეზის“ მონაწილეობით).

გოგიტა ჩიტაიამ დააფუძნა და დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება სახელწოდებით „დიალოგი ჭადრებთან“. პირველი ღონისძიება მიეძღვნა ქალაქ ხობის ისტორიას და ქალაქის ახალგახსნილ პარკში ჩატარდა. გოგიტას უშუალო მონაწილეობით გამოიცა სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) წიგნი და რუკა „ხობის მუნიციპალიტეტი“, რომელიც საცნობარო ხასიათისაა. მასში მოკლედ არის გადმოცემული ცნობები ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ბუნების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. წიგნი და რუკა განკუთვნილია ტურისტებისა და ზოგადად, ხობის მუნიციპალიტეტით დაინტერესებულ პირთათვის.

ძალზე მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ ჩვენს სპორტსმენებს. რას გვეტყვით მათ შესანიშნავ მიღწევებზე?

–ხობის მუნიციპალიტეტი ყოველთვის განთქმული იყო თავისი სპორტული ისტორიით, ბრინჯაოსა და ვერცხლის პრიზიორები გახდნენ; ევროპის ჩემპიონი ანრი ბუკია გახდა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორი–გოჩა სიჭინავა.

ანა ხუნჯუამ 22 წლამდელთა შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კრივში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გახდა პირველი მოკრივე ქალი. ასევე კრივში ჭაბუკთა შორის წარმატებული იყო დემურ ქაჯაია, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტში საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ გვერდით უკვე მეორე წელია ასპარეზობს ქალთა საფეხბურთო გუნდი „კოლხეთი“. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბს „კოლხეთი“, მიუხედავად სიძნელეებისა, გუნდმა შეძლო მეექვსე ადგილის მოპოვება და 2020 წელს ისევ მესამე ლიგაში იასპარეზებს.

სპორტის ეროვნული ფედერაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით ჩვენი სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება რამდენიმე წელიწადია მართავს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას სხვადსხვა სახეობებში.

ჩვენი სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიმდინარე წელსაც გაგრძელებს ტრადიციული, ეროვნული სპორტის

ქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელი და 2 საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწე ჰყავს და უძღვება სამწვრთნელო საქმეს (რომან მორგოშია, კობა თუთბერიძე, მამუკა ყორშია, ედიკა თოდუა, ალმასხან ხუნჯუა, მამუკა გეთია და ინდირა გრიგოლიანცი).

2019 წელს მწვრთნელებმა და ახალგაზრდა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეს მსოფლიო ჩემპიონ ნუგზარ წურწუმიას წარმატება. ნუგზარი 2019 წელს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.

წარმატებული აღმოჩნდა მკლავჭიდელთა ორთაბრძოლებიც ევროპისა და მსოფლიო ასპარეზზე სპორტსმენებისთვის: საბა ლატარიამ. საბა დანელიამ, დათუნა ჟიშკარიანმა და გულადი ბუკიამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს 15 წლამდელთა და 21 წლიანთა შორის. გიგა კოდუა და გოგა დანელია კი

ბრინჯაოსა და ვერცხლის პრიზიორები გახდნენ; ევროპის ჩემპიონი ანრი ბუკია გახდა, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორი–გოჩა სიჭინავა.

ანა ხუნჯუამ 22 წლამდელთა შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კრივში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გახდა პირველი მოკრივე ქალი. ასევე კრივში ჭაბუკთა შორის წარმატებული იყო დემურ ქაჯაია, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტში საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ გვერდით უკვე მეორე წელია ასპარეზობს ქალთა საფეხბურთო გუნდი „კოლხეთი“. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბს „კოლხეთი“, მიუხედავად სიძნელეებისა, გუნდმა შეძლო მეექვსე ადგილის მოპოვება და 2020 წელს ისევ მესამე ლიგაში იასპარეზებს.

სპორტის ეროვნული ფედერაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით ჩვენი სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება რამდენიმე წელიწადია მართავს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას სხვადსხვა სახეობებში.

ჩვენი სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიმდინარე წელსაც გაგრძელებს ტრადიციული, ეროვნული სპორტის სახეობების აღდგენასა და პოპულარიზაციას,რათა ჩვენი ახალგაზრდობა მეტად ჩაერთოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებთ თქვენს მიერ გავლილ გზას?

–ძნელია საკუთარ თავზე, წარმატებებზე საუბარი. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ გავლილი გზა იყო ჩემთვის მეტად საინტერესო. უდიდესი გამოცდილება შევიძინე პროფესიონალ ადამიანებთან და სხვადსხვა სამსახურებთან თანამშრომლობითი საქმიანობით.

ქალბატონო ელისო, რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე და ცხოვრების მიზანი?

–ყველაზე დიდი სიმდიდრე ჩემი ოჯახია. ოჯახის წევრები ჩემი აქტიური მხარდამჭერები და გულშემატკივრები არიან. ცხოვრების მიზანს კი წარმოადგენს კეთილი და სამართლიანი ნაბიჯები.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

სოფელი

ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში ლევან ალანია.

დაიბადა 1985 წლის 7 აპრილს, სოფელ ზემო ქვალონში, 2020 წელს დაამთავრა ხობის №2 საჯარო სკოლა. ქალაქ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სპეციალობით.

2018 წლის ოქტომბერში დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონში გამგებლად, სადაც დღესაც განაგრძობს მუშაობას.

„გვინდა ვაკეთოთ შედეგის მომტანი საქმე“

–ქვალონზე მრავალი ლეგენდა არსებობს, მინდა ყველამ იცოდეს, ეს აწგანსვენებული უხუცესი ადამიანის დროოთე ჭანტურიას მონათხრობითაა ცნობილი.

ქვალონი ქვიან ადგილს ნიშნავს. ძველად ქვალონის ახლანდელი ტერიტორია დაუსახლებელი ყოფილა. მწყემსებს ახლანდელი ზემო ქვალონის ტერიტორიაზე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან, თეთრი ქვების საბადო აღმოუჩენიათ და ამ ადგილისთვის „ქვალონი“ (ქვიანი ადგილი) შეურქმევიათ.

ქვალონის ტერიტორია მდებარეობის მიხედვით სამ ნაწილად დაუყვიათ: ზემო, შუა და ქვემო. ქვალონის უდიდესი ნაწილი ტყიანი და ჭაობიანი ყოფილა. წლების განმავლობაში სოფლების თავკაცებს ბევრი უშრომიათ და უბრძოლიათ, რომ სოფლები დღევანდელობამდე მოეყვანათ...

ზემო ქვალონი, ჩემი მშობლიური სოფელია. როცა ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ნდობა გამომიცხადეს და სოფლის თავკაცობა მანდეს, გადავწყვიტე შესაძლებლობის მაქსიმუმი გამეკეთებინა, მეშრომა და პასუხისმგებლობით მოვკიდებოდი დაკისრებულ მოვალეობას.

პირველ რიგში დღის წესრიგში იდგა სოფლის მომავალი პროგრამის განახლება. სოფელი 1133 ჰექტარზეა გაშლილი, აქედან 400 ჰექტარი სახნავსათესია. სოფელში ცხოვრობს 294 კომლი 700-მდე მოსახლით. აქედან 546 ამომრჩეველია. აქ მცხოვრები ადამიანები ძალზე შრომისმოყვარენი არიან. მათ გააჩნიათ თანამშრომლობის დიდი სურვილი და შესაძლებლობა. ზემოქვალონელებმა ნდობა გამომიცხადეს იმისათვის, რომ ერთად გვეკეთებინა საქმე, რათა სოფელში უკეთესი პირობები გვქონოდა. რომ მას ჩემი ხელიც დამჩნეოდა ხალხის საკეთილდღეოდ. თავიდანვე ვეძებდი გზებს მათთან საურთიერთობოდ. მინდოდა მათი ლხინისა და ჭირის თანაზიარი ვყოფილიყავი. დღეს უკვე ვიცი თითოეულის საჭიროებები და ერთიანი ძალისხმევით ვიბრძვით მათ აღმოსაფხვრელად. გვჯერა, ერთად ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. ჩემთან ერთად ამ საქმეში ჩართულია მთავარი სპეციალისტი ქრისტინა შურღაია, რომელიც გულისხმიერი, მიზანდასახული და მშრომელი ადამიანია. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფლის დეპუტატთან თენგიზ აბაკელიასთან. თითოეული ჩვენთაგანის მიზანია მივიღოთ კვალიფიციური გადაწყვეტილებები სოფლის ყველა პრობლემის მოსაგვარებლად.

სოფელში არსებობს საჯარო სკოლა 32 მოსწავლით, სკოლის დირექტორი გახლავთ ჟანა ჯაიანი. სკოლას 11 პედაგოგი ჰყავს. პედაგოგები სერთიფიცირებულები არიან. სოფელს ემსახურება მაღალკვალიფიციური ექიმი მარიკა ლატარია. ის ყოველ ხუთშაბათს დადის სოფელში და ყველა მოხუცსა თუ ავადმყოფს მოინახულებს და მისი რჩევები და თბილი მოპყრობა მათთვის მკურნალობის ტოლფასი გახლავთ. აქ არის ერთი სავაჭრო მაღაზია, სადაც სოფლის მცხოვრებლებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ აუცილებელი მოხმარების პროდუქტები. სამწუხაროა, რომ სოფელში არ ფუნქციონირებს კლუბი და ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებული ადამიანები შეძლებენ თავისუფალი დრო გაატარონ, ან სახლში წასაკითხად გაიტანონ წიგნები და გაზეთები...

სხვადასხვა დროს სოფელს ბევრი ნიჭიერი, საქმისა და სოფლისმოყვარე ადამიანი ხელმძღვანელობდა. მათი შრომისა და გარჯის წყალობით მოვიდა დღევანდლობამდე ჩვენი სოფელი: ჯონდი კრავჩენკო, კოლია კუჭავა, ყათრან (არისტრახო) ალანია, აპოლონ ალანია, ომეხ ალანია, იური აბშილავა, თენგიზ აბაკელია, ჰამლეტ ხუბუა, თამაზ ბედია, მერაბ სალაყაია, ვახტანგ აბაკელია, კობა ალანია, ლევან კილასონია ის ადამიანები არიან, ვინც თანასოფლელებთან ერთად წლები იზრუნეს სოფლის ასაღორძინებლად.

სოფელი ყოველწლურად წინ მიიწევს, მწინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევებზე აიგო ახალი ეკლესია, რომელშიც მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს წირვა-ლოცვა მაინც აღევლინება. სოფლის მოსახლეობა ემადლიერება მის ამშენებელს. ეკლესია მორწმუნეთა წმინდა ადგილია. სოფელში უკვე დასრულებულია ელექტროგამრიცხველიანება, შემოყვანილია სასმელი წყალი.

სლოგანი–„ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას!“ მართლაც, რომ წარმატებით მიმდინარეობდა და შედეგიც სახეზეა. მადლობა ყველა იმათ, ვინც წვლილი დაიდო ამ დიდ საქმეში, გვეიმედება, რომ ეს წელიც უფრო შედეგიანი იქნება და საბოლოოდ დამარცხდება ეს მავნებელი.

სოფელში აშენდა თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული საბავშვო ბაღი. დაგებულიქნა გზის (ცემენტ-ბეტონის) საფარი. მთლიანად ორიენტირებულნი ვართ სოფლის განვითარების სამომავლო გეგმებზე.

2020 წელს სოფელში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ აშენდება ახალი სამედიცინო ამბულატორია.

მიმდინარე წელი კიდევ უფრო მეტად განგვაწყობს გავძლიერდეთ და სოფელს მეტი სიახლეები ჰქონდეს. სოფლის მთელი აქტივი ვცდილობთ ეს წელი უფრო მეტად განსხვავებული იყოს წინა წლებისგან. ჩვენთან მოსულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი ხედვა სოფლის განვითარების შესახებ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ჩვენ გპირდებით, პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ყველა მისაღებ წინადადებას, რათა გვინდა ვაკეთოთ შედეგის მომტანი საქმეები.

ესაუბრა
ნანი კილასონია

ბავშვებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ

ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, „ბიბლიის სახლის“ (გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა) დირექტორმა ავთანდილ გურულმა და ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლებმა, ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილ ბავშვებს და მრავალშვილიან ოჯახებს საჩუქრად საეკლესიო წიგნები გადასცეს.

„ბიბლიის სახლის“ დირექტორმა ბავშვებს სიტყვით მიმართა და განათლების, ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნის და წიგნიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ღონისძიებას მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია და ხობის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი ეკა ხასია ესწრებოდნენ.

წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები წაიკითხეს, მხატვრული ლიტერატურისა და წიგნიერების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და „კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ თანამშრომლები ესწრებოდნენ. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტში მეხუთედ ჩატარდა.

ღონისძიება წიგნის კითხვის პოპულარიზაციას და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

დაგვიანებული მოლოცვა



მურთაზ კანკაძე–მწერალი და პუბლიცისტი, გაზეთ „წყალტუბოს“ „შეუცვლელი“ რედაქტორი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე, სასიქადულო მამულიშვილი 75 წლის გახდა. მიზეზთა გამო მოლოცვა და მოფერება დაგვიგვიანდა...

ბატონი მურთაზი პირველხორგელთა საფიცარი და საამაყო სიძეა, იზეტა ბერაიასთან ნახევარსაუკუნოვანმა თანაცხოვრებამ, შვილებისა და შვილიშვილების ნიჭიერებამ და გამორჩეულობამ ბედნიერება მრავალგზის მოუტანა...

ჩვენმა კოლეგამ პოეზიასაც გადაუხადა „ხარკი“, იგი ლექსების ოთხი წიგნის ავტორია. მისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ვბეჭდავთ მისი პოეზიიდან რამდენიმე ლექსს. ვუსურვებთ კიდევ დიდხანს ახარებდეს და ამშვენებდეს „წყალტუბოს“ მისი ლექსის „ნაჟური“.

პატივისცემით „ხობის მოამბელები“

სოფელში

ცერზე ბევრჯერ დავიბერტყე
ალავერდი თამადის;
მიცქერდი და მიცინოდი,
როგორ გამითამამდი.
შემდეგ გარეთ გამიტყუე,
შენმა ტრფობამ გამთოკა,
გამიფრინდი ჩიტივით და
მიმატოვე მარტოკა.
მთვარის შუქზე ვაზებს ვხედავ
რქებდახუნძლულს მტევნებით,
დაგიჭერდი ზღვაში, მაგრამ
ხომ არ დაგედევნები.
იქნებ მინდა ამაღელვო,
ვატყობ, გულში რაც გიძევს,
იქნებ გინდა, სიყვარული
რომ აგიხსნა მასპინძელს?
არ დავფიცავ, გულს გაგიღებ,
რომ არ ვიყო სტუმარი,
მაგრამ რა ვქნა, მე პატივს ვცემ
შენს მოწყობილ პურ-მარილს...
ცერზე ბევრჯერ დავიბერტყე
ალავერდი თამადის
რა მაცდურად მიღიმოდი,
როგორ გამითამამდი.

მინდა, ისევ მოგეფერო...

ყოველ დილით ჩემს სარკმელთან
გულღაბუა ჩიტი გალობს,
იქნებ ჩემი რიდი გაქვს და
ჩიტს აბარებ სათქმელს ქალო.
იქნებ ჩემზე ფიქრობ, დარდობ,
თვალზე ცრემლი არ გიშრება,
მიკვირს, რისთვის გამებუტე,
რას გამირბი თმაგიშერავ?!
დღე არ გავა–არ გინატრო,
დღე არ გავა–არ მეტკინო,
მინდა, ისევ მოგეფერო,
შენთან ვიყო ბაგეტკბილო.

* * *

ობოლსა და მიუსაფარს
მზრდიდნენ ფერებ-ფერებით,
სიცელქისთვის მაშინებდნენ
ალქაჯებით, დევებით...
ამ ცხოვრებამ ყველა ნატვრა
ამისრულა ჟინიანს,
ახლა დევის არა მაგრამ
კაცის კი მეშინია!

რა დამავიწყებს...

დავაქროლებდი გზებზე ცხენჯოხას
და ყველა ჩიტის ვიცოდი ბუდე,
რა დამავიწყებს ტოლებთან ნავარდს,
დედა-ენასთან გაცნობის წუთებს!
გამიტაცებდა ბავშვური ფიქრი
გემს ვმართავდი თუ ფ ოლადის
არწივს,
რა ტკბილი იყო ნახირში წასვლაც
და ბუჩქნარებში დაკრეფა მარწყვის..
ყველა წლის დღეებს აქვთ რაღაც
მსგავსი,
ის დრო კი იყო მაინც სხვაგვარი...
და გამიფრინდა ბავშვობა ისე,
როგორც ბაბუას თქმული ზღაპარი.

****

მზე თავს იხრჩობს ზღვის ტალღებში,
ქარი პალმებს ძარცვავს,
მე ვკითხულობ შენს ფიქრებს და
ასო-ასო ვმარცვლავ.
ვიცი, კარგო, რომ გიყვარვარ,
მაგრამ კრძალვა გბოჭავს,
მოდი ჩემთან, დროს რას უცდი,
დრო თავისას მოჭამს.

ზამთრის ფანტაზია

თოვლის ფანტელს ქარი ფანტავს,
შენი სახეც დაფიფქულა,
წამწამები თეთრად მხატავს,
მხრებს გიმშვენებს ბამბის ქულა.
ტყის ქალწულად მეჩვენები,
გულდამწვარი ნატვრით გიცქერ,
შენს მწველ ბაგეს რომ შევეხო,
მინდა თოვლის ფიფქად ვიქცე.

* * *

სადღაც ქრება მოკრძალება,
მძლავრობს გამბედაობა,
მორჩილების უარყოფას
ბედავს ჩვენი თაობა.
დროის ტალღა მოაგორებს
სითამამეს უდიდესს,
ჰოდა, პოლიტიკოსობა
ვიღას უნდა უკვირდეს...
უკვე გაქრა მოკრძალება,
მძლავრობს გამბედაობა,
მორჩილების უარყოფას
ბედავს ჩვენი თაობა.

სპექტაკლის პრემიერა

ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, სპექტაკლ „მავთულხლართის“ პრემიერა გაიმართა.

სპექტაკლი რეჟისორმა რამაზ ლოლუამ მწერალ გიორგი სოსიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დადგა. სპექტაკლში მოწვეული და ადგილობრივი მსახიობები მონაწილეობდნენ.

თეატრალურ საღამოს, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდა.

პრემიერის დასრულების შემდეგ თვალცრემლიანი მაყურებელი ტოვებდა ხალხმრავალ დარბაზს, თითქოს გაახლდა ტკივილი, მონატრება, მაგრამ დარჩა მომავლის იმედი, იმედი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა.

სპექტაკლის მიმდინარეობისას თითქოს სუნთქვა შეკვროდა დარბაზს...

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ 2011 წელს დაწერილ მოთხრობას „მავრთულხლართი“ 2018 წელს, რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში პირველი პრემია მიენიჭა.

ხობის კულტურის ცენტრის ნიჭიერმა რეჟისორმა რამაზ ლოლუამ სპექტაკლის პრემიერით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ „სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“.

დასასრულს, სპექტაკლის მონაწილეებმა მაყურებლის ოვაციები და მქუხარე ტაში დაიმსახურეს.

რეგიონის ჩემპიონატი ჭადრაკში

ქ. ფოთში დასრულდა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი ჭადრაკში 7-12-16 წლის გოგონათა და ჭაბუკთა შორის, სადაც შესანიშნავად იასპარეზეს ხობის სასპორტო სკოლის მოჭადრაკეებმა. 16 წლის გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა **ლიკა ჭანტურია**. 16 წლის ჭაბუკებს შორის 2-3 საპრიზო ადგილი გაიყო გუნდის ლიდერმა და კაპიტანმა **ნიკა ბუკიამ**. მესამე საპრიზო ადგილი გოგონათა შორის დაისაკუთრა **მარიამ ლაგვილავამ**.

აღსანიშნავია, ნორჩი მოჭადრაკეების **გიორგი იოსავას**, **ცოტნე ქაჯაიას** და **ცოტნე ბოკუჩავას** წარმატებული თამაშები. მწვრთნელი **მამუკა გეთია**

რა უნდა ვიცოდეთ კორონავირუსის შესახებ

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 9 იანვარს გამოქვეყნდა განცხადება ჩინეთში პნევმონიის პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით.

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთის ხუბეის პროვინციის (58 მილიონიანი მოსახლეობით) დედაქალაქ უხანში (19 მილიონი მოსახლეობით) დაფიქსირებული უცნობი ეტიოლოგიის პნევმონიის კვლევით განისაზღვრა, რომ ეპიდაფეთქების გამომწვევი გახდა ახალი კორონა ვირუსი.

ჯანგოს მონაცემებით 2020 წლის 31 იანვრისთვის მსოფლიოში სულ დაფიქსირებული იყო 9826 შემთხვევა, მათ შორის ჩინეთში 9720, ჩინეთის გარეთ 106 დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა 19 ქვეყანაში, დედამიწის ყველა კონტიგენტზე, ყოველდღიურად იზრდება დაინფიცირებულთა და გარდაცვალების შემთხვევები, რის გამოც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მსოფლიოს მასშტაბით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულმა ქვეყანამ ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად უნდა გაატაროს განსაკუთრებული პრევენციული ღონისძიებები.

რა არის კორონავირუსი?

–კორონავირუსები წარმოადგენენ ვირუსების დიდ ოჯახს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნაკლებადმძიმე დაავადება, მაგალითად ჩვეულებრივი გაციება და სხვა უფრო მძიმე დაავადებები, როგორიც იყო კორონავირუსის ადრინდელი ეპიდემიები, რომლებიც ცნობილია კორონავირუსის–მესის და კორონავირუს სარსის სახელწოდებით. ახლად აღმოჩენილი კორონავირუსი არის ახალი შტამი, რომელიც ადრე არ იყო გამოვლენილი ადამიანებში.

კორონავირუსის გადაცემა ხდება ცხოველიდან ადამიანზე, ამჟამად არსებული ახალი კორონავირუსი ჰაერწვეთოვანი გზით გადადის ჯანმრთელ ადამიანზე დაინფიცირებული ადამიანიდან, რის გამოც ძალიან სწრაფად ვრცელდება და იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი.

რა არის კორონავირუსის სიმპტომები?

–კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის ძირითადი ნიშნებია რესპირატორული სიმპტომები: ცხელება, ხველა, ქოშინი და სუნთქვის გაძნელება, უფრო მძიმე შემთხვევებში, ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს პნევმონია, მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი, თირკმლების უკმარისობა და სიკვდილიც კი.

როგორ დავიცვათ თავი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციისაგან?

–თავი ავარიდოთ რესპირატორული ინფექციის მქონე ადამიანებთან კონტაქტებს.

–ხელების ხშირი დაბანა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ არსებობს პირდაპირი კონტაქტი დაავადებულ ადამიანებთან ან იმ გარემოსთან, სადაც იმყოფებოდა სიმპტომების მქონე პაციენტი.

–თავი აარიდეთ დაუცველ კონტაქტს ფერმებთან და ან გარეულ ცხოველებთან.

–რესპირატორული ინფექციის მქონე ადამიანებმა უნდა დაიცვან ხველის ეტიკეტი.

–სამედიცინო დაწესებულებებში საჭიროა გაძლიერდეს ინფექციის კონტროლის ღონისძიებები, განსაკუთრებით საავადმყოფოებსა და გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში.

რეკომენდაციები საერთაშორისო მოგზაურთათვის.

–მოერიდეთ ავადმყოფ ადამიანებთან კონტაქტს.

–მოერიდეთ ცხოველებთან კონტაქტს, ცხოველთა ფერმებს, არ მიიღოთ თერმულად არასრულად დაუმუშავებელი ხორცი და მისი პროდუქტები.

–ხელების ხშირად დაბანა საპნით მინიმუმ 20 წამის განმავლობაში.

თუ უკვე გაქვთ სიმპტომები, როგორიც არის მაღალი ტემპერატურა, რომელიც არ ემორჩილება სიცხის დამწევ საშუალებებს, გაქვთ ხველა, ყელის და თავის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება, თქვენ დაუყონებლივ უნდა მიმართოთ სამედიცინო დაწესებულებას, აცნობეთ ექიმს თქვენი მოგზაურობისა და სიმპტომების შესახებ, იმკურნალეთ ექიმის დანიშნულებით და მოერიდეთ სხვა ადამიანებთან კონტაქტებს.

ჩინეთიდან ახალი კორონა ვირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის შემთხვევათა გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, ინფორმირებისა და სიტუაციის მართვის მიზნით მ/წლის 28 იანვარს

გამოიცა და ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის №164 განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონა ვირუსისთ გამოწვეული დაავადებების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჯანდაცვის ტერიტორიულ პირველად ჯანდაცვის რგოლებთან ერთად მიმდინარეობს პრევენციული ღონისძიებები, მიმდინარეობს დაზუსტება რამდენი ჩინელი ცხოვრობს და მუშაობს ჩვენს მუნიციპალიტეტში, ან რამდენი ჩვენი რაიონის მცხოვრები დადის სამუშაოდ ან ტურისტული მიზნით ჩინეთში. თითოეული ჩამოსული მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (იგულისხმება ჩინეთი) 14 დღის მანძილზე დაწესებული გვაქვს სამედიცინო მეთვალყურეობა.

ბოლო ინფორმაციით მ/წლის 4 თებერვლის მდგომარეობით საქართველო კვლავ რჩება მწვანე ზონაში, საქართველოში კორონა ვირუსით ადამიანების დაავადებისა ან დაინფიცირების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ამავ დროულად ინფორმაციის სახით მ/წლის 4 თებერვლიდან დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ნუგარის ლაბორატორიაში შესაძლებელიქნა ახალი კორონავირუსის ლაბორატორიული იდენტიფიცირება.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე.

მინაწერი: ვსარგებლობ შემთხვევით და გაზეთის მკითხველებს მინდა მივაწოდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2019 წლის 4 ნოემბრიდან ჩეხეთის რესპუბლიკის დახმარებით ქ. ზუგდიდში აშენდა და აღიჭურვა სკრინინგცენტრი.

სკრინინგი გულისხმობს ჯანმრთელი მოსახლეობის რეგულარულ პროფილაქტიკურ გასინჯვებს დაავადებათა დროული გამოვლენის მიზნით. ადრეულ ეტაპზე ჩატარებული მკურნალობა პრაქტიკულად 100%-ით ამარცხებს თვით ავთვისებიან დაავადებებსაც კი.

სკრინინგცენტრში უფასოდ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ძუძუს კიბოს სკრინინგი უტარდებათ ქალებს 40-დან 70 წლის ჩათვლით, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლის ჩათვლით პირებს, მსხვილი ნაწლავის სკრინინგი 50-დან 70 წლის ჩათვლით, პროსტატის სკრინინგი 50-დან 70 წლის ჩათვლით.

ინფორმაციის, კონსულტაციისა და ვიზიტის დაგეგმვისთვის უნდა დაუკავშირდეთ ყოველ სამუშაო დღეს 10.00 საათიდან 17 საათამდე.

ცხელი ხაზის ნომერი 0322470099

მისამართი ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩა №198.

სპორტი

ქ. თბილისში ჩატარდა ღია პირველობა მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობდა ხობის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდი.

ლუკა გულუამ 60 გარბენში დაიკავა I ადგილი.

ლამზირა თორდიამ ბადროს ტყორცნაში დაიკავა II ადგილი.

სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომითა და სიგელებით. (მწვრთნელი ინდირა გრიგოლიანცი).

წარმატებები ნორჩ სპორტსმენებს.

სულთათანა



ქართველი კომპოზიტორი, ხობის საპატიო მოქალაქე, არაერთი კამერულ-ინსტრუმენტული და საესტრადო ნაწარმოების ავტორი, 1961–1975 წლებში ვოკალური ანსამბლ „გორდელას“ ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ფილმ „ჩარი რამასთვის“ მუსიკის შემქმნელი, **გომარ სიხარულიძე** გარდაიცვალა.

გომარ სიხარულიძეს ხობის საერთაშორისო ფესტივალის–„სიმღერა სამეგრელოზე“ სამხატვრო ხელმძღვანელობისა და ფესტივალისთვის შექმნილი სიმღერების ავტორობისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მწუხარებას ბატონი გომარის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს.

მშვიდობით...

ამქვეყნიური ცხოვრება დატოვა და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა პიროვნებამ, რომელიც თავდაუზოგავად იდგა ჩვენს გვერდში და 16 წლის მანძილზე დიდი წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების განვითარებაში, მეგრული სიმღერის პოპულარიზაციასა და გადარჩენაში.

ხობის საპატიო მოქალაქეები–მარინა მიქაძე, ვარლამ როდონაია, გომარ სიხარულიძე.
ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას.
(ფოტო არქივიდან)

განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ხობი“ კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება დაკარგა გომარ სიხარულიძის სახით.

ბატონი გომარი ალექსანდრე (ბუთხუზი) ბასილაიას შემდეგ იყო ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ხობის საერთაშორისო ფესტივალების „სიმღერა სამეგრელოზე“. მადლიერმა ხობელებმა მას ხობის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს.

ის არასდროს ამბობდა უარს თავისი მდიდარი გამოცდილება გაეზიარებინა კოლეგებისთვის. იყო მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდის აღმზრდელი და დამრიგებელი. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელაც კი ჰქონოდა ურთიერთობა და მისი სიმპათია და სიყვარული არ დაემსახურებინა.

ბატონი გომარი იყო ერუდირებული, უდიდესი ინტელექტისა და კულტურის მქონე ქართველი კაცი, თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი და ქართული სიმღერის ქომაგი.

საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ საორგანიზაციო ჯუფის სახელით დიდ მწუხარებას გამოვთქვამ გომარ სიხარულიძის გარდაცვალების გამო, იგი ყოველთვის იქნება ჩვენთვის როგორც მაგალითი კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, ფოლკლორის მოამაგის.

ცხონება იყოს მისი სპეტაკი სულის. ამინ!

გოდერძი ბუკია.

გულიანა ბუკია–ალანია

სხარტი გონების, კარგად მოაზროვნე მუდამ კალამთან ურთიერთობდით, ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარი იყავით. ალბათ, ზემო ქვალონში არ დარჩენილა გამორჩეული პიროვნება, რომელზეც არ დაგიწერიათ და არ შეგიმკიათ მათი დადებითი თვისებები. არც მიცვალებულები დაგიტოვებიათ გაზეთში გამოუქვეყნებელი ისე, რომ პატივი არ მიგეგოთ მათი ხსოვნისთვის.

კეთილო და კარგო ქალბატონო, ხეთელმა გოგონამ, გამორჩეული ოჯახის შვილმა და კარგი ძმების კარგმა დამ, განათლებულმა ადამიანმა, სპეციალობით ტექნოლოგმა ზემო ქვალონში დაიდეთ ბინა, ყველგან სითბო და სიყვარული დაიმსახურეთ. იყავი კარგი ოჯახის კარგი დიასახლისი... შესანიშნავი მეუღლე, დედა, ბებია, თქვენი თანადგომა და სიყვარული არ დაკლებია არავის, ვისთანაც კი ხელი მიგიწვდებოდათ საურთიერთობოდ.

ვწუხვართ, რედაქციელები, გულიანა. კეთილო, კარგო ადამიანო, ყველას თანამდგომო და მოსიყვარულევ.

გულიანა, ალბათ როგორ გიხარიათ მონატრებულ მეუღლესთან–ომეხ ალანიასთან შეხვედრას იქ, ზეციურ სამყაროში. ვიცი, როგორ გიყვარდათ და როგორ განიცადეთ მეუღლესთან განშორება. მიუხედავად ავადმყოფობისა, მაინც ცდილობდით არაფერი დაგეკლოთ მისთვის და სიცოცხლის დღეები გაგეხანგრძლივებინათ. იმაზე, ალბათ, არც გიფიქრიათ, თქვენს ჯანმრთელობას, რომ ვნებდით. რას იზამთ, ასეთია დედისა და მეუღლის ხვედრი.

მჯერა, თქვენი შვილები და შვილიშვილები განშორებას გაპატიებენ და ეყვარებით ისე, როგორც ყოველთვის უყვარდით. ღმერთმა გააძლიეროს ისინი.

რედაქციის თანამშრომლები გულწრფელად თანავუგრძნობთ მათ და თქვენი ახლობლების ოჯახებს.

დაე, ღვთის სიახლოვეს დაივანოს თქვენმა სულმა. ნათელი დაადგეს თქვენს საფლავს.

ნანი კილასონია.

ლეილა ჯალაღონია

ისევ გლოვაა ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლაში. გარდაიცვალა ლეილა ჯალაღონია–მხცოვანი პედაგოგი, არაერთი გამორჩეული თაობის აღმზრდელი, შესანიშნავი კოლეგა, დედა და ბებია. 70-იანელთა ქართული სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი.

ლეილა ჯალაღონია დაიბადა 1946 წელს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ სარაქონში. 1968 წელს წარმატებით დაამთავრა სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების ორწლიანი კურსები, 1968 წლიდან მუშაობდა ზუბის საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად, მასში თავმოყრილი იყო ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისება: პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, თავმდაბლობა და უბრალოება.

ცხოვრება ზოგჯერ თავისი უბრალოებით არის მშვენიერი. ამ სათნო და კეთილმა ქალბატონმა თავისი მზრუნველობით, თბილი და რბილი დამოკიდებულებით, პირდაპირობით უამრავ აღზრდილს დაამახსოვრა თავი და იმ ურთულეს წლებშიც, როცა სისტემისაგან ასე ითრგუნებოდა ადამიანური გრძნობები. თავის მოსწავლეებს ამაღლებული ზნეობა და მშვენიერი თვისებები ჩაუნერგა: რწმენა და ხალისი, მომავლისკენ დაუოკებელი სწრაფვა. თვითონ ახალგაზრდა ასაკში წავიდა სკოლიდან, როცა ენერგიით აღსავსეს ჯერ კიდევ შეეძლო თაობათა აღზრდა, ღიმილით იტყოდა: „ბავშვებს მასწავლებელი ახალგაზრდა და ლამაზი უყვართო“.

სევდა და ტკივილია იმის შეგრძნება, რომ ეს მუდამ საქმიანი, ღიმილიანი შუბლგახსნილი და გულთბილი ქართველი ქალი უკვე აღარ არის, ის დააკლდა არა მხოლოდ ოჯახს, არამედ კოლეგებს, იმ ასობით კურსდამთავრებულს, რომლებიც საყვარელ მასწავლებელს მადლიერებით აღსავსენი ცრემლიანი თვალებით ეთხოვებიან. ისინი გრძნობენ, რომ ცხოვრების რაღაც განსაკუთრებული ნაწილი დასრულდა.

ლეილა ჯალაღონია უკანასკნელია ჩვენი სკოლის 70-იანელთა თაობის პედაგოგიური საზოგადოებისა, რომელთაც საკუთარი მხრებით ატარეს სკოლის ყველა წარმატება თუ ჭირსახელი. აქ უკვე უფროსი თაობიდან აღარავინ დარჩა... დიდი გალაკტიონის სიტყვებით „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

იყავით ნათელში დიდებულო ადამიანო, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. თქვენს ნამღვაწარს თქვენი აღსაზრდელების ცრემლი და გულისტკივილი ამტკიცებს.

ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის პედაგოგები.

იცოდე კანონი, იქნები დაცული!

მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად

2019 წლის ანგარიში

თამუნა სიჭინავა–ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ჩემი საქმიანობა მოიცავს ხობის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

2019 წელს ხობის მუნიციპალიტეტის 12 ადმინისტრაციულ ერთეულში, შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხობის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელთან - მიხეილ ხუნწარიასთან და განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურის“ ხელმძღვანელთან–გვანცა კიკალეიშვილთან ერთად შევხვდი მოსახლეობას. შეხვედრის თემა იყო გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ნაადრევი ქორწინება. შსს-ს წარმომადგენელმა მოქალაქეებს გააცნო ოჯახში ძალადობის და ნაადრევი ქორწინების მიმართულებით ხობის მუნიციპალიტეტში არსებული სტატისტიკა.

24 მაისს ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მოვიწვიეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ასოციაცია მერკური“.

ასოციაცია „მერკურის“ ფსიქოლოგმა, იურისტმა და სოციალურმა მუშაკმა შეხვედრის მონაწილეებს გენდერული თანასწორობის პრინციპებზე, გენდერულ დისკრიმინაციაზე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბავშვთა ნაადრევი ქორწინების ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და პოლიციისათვის დროული შეტყობინების საკითხებზე ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიას, სახელწოდებით–„ნუ წაართმევ ბავშვობას“. ამ პროექტის ფარგლებში, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შეთანხმებით, ჩავატარეთ შეხვედრა უფროსკლასელებთან.

მოსწავლეებს შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხობის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელმა მიხეილ ხუნწარიამ მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქვეყანაში ქორწინება 18 წლის ასაკიდანაა დაშვებული. 2016 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა წესი, რომლის თანახმადაც, 16 წელს მიღწეულ პირთა ქორწინება მშობლების თანხმობით დაიშვებოდა.

კანონმდებლობაში ეს ცვლილება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციით იქნა შეტანილი.

ამჟამად, გამონაკლისის სახით, 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით. ისეთი მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ორსულობა. სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან სისხლის სამართლის დანაშაულია და დამნაშავე ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით, რომელიც 7-დან 9 წლამდე პატიმრობას გულისხმობს და ამ შემთხვევაში, ცხადია, ოჯახის შექმნის განზრახვა გამამართლებელ მიზეზად არ ითვლება. ასევე ისჯება იძულებითი ქორწინება. აქ სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლი განსაზღვრავს.

სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ხობის ჰოსპიტალის ექიმმა აზა საჯაიამ უფროსკლასელებს გააცნო ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში ჯანმრთელობის რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი.

სოციალური მომსახურების საგენტოს ხობის რაიონული განყოფილების სოციალურმა მუშაკმა ირმა კილასონიამ მოზარდებს აუხსნა ნაადრევი ქორწინების ფაქტის დადგომის შემთხვევაში რა როლი ეკისრება სოციალურ მუშაკს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ქალები სამართლიანობისთვის“. არასამთავრობო ორგანიზაციამ ხობის მუნიციპალიტეტში დააფუძნა 5 სტრუქტურული ერთეული–„ქალთა სახლი“, სადაც გაერთიანებული არიან სოფლად მცხოვრები ქალები. ორგანიზაცია მათი საშუალებით გაეცნო საჯიჯაოს, ქარიატის, პირველი მაისის, ნოჯიხევისა და ხობის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას და ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სურვილი, დახმარებოდნენ საქველმოქმედო ტვირთით.

მერიის ორგანიზებით ჩამოტანილიქნა ტანსაცმელი, რომელიც დაურიგდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით 80 ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ დაბეჭდა საინფორმაციო ბროშურა „სახელმწიფო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც დაურიგდა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რათა გაეცნონ და ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია მათი უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან მსხვერპლთა მხარდაჭრის და ხელშეწყობის შესახებ.

ყველას პრობლემა!

ვიდრე გვიანი იქნება...

ძაღლი ადამიანის მეგობარია, დამცველი! ამიტომაც ეს ჭკვიანი ცხოველი დღემდე მიგვაჩნია ოჯახის ერთგულად, ვუვლით და ჩვენთან ცხოვრობს... ბავშვებიც მათდამი სიყვარულითა და პატივისცემით გავზარდეთ. დღეს კი ისინი ძრწოლვით შესცქერიან მათ.

მაგრამ ამ სტატუსს დიდიხანია გასცდა ძაღლების უმრავლესობა. ისინი მაწანწალა, ქუჩის ძაღლებად ქცეულან. ამჯერად გვინდა გულისტკივილით მოგითხროთ იმაზე, რომ ძაღლების უთვალავი რაოდენობა, ქალაქის ქუჩებს არის მოდებული და ღრენით შესცქერიან ადამიანთა ხელებს. ისინი ადამიანებს ხელებიდან და ჩანთებიდან სტაცებენ საჭმელს და წაქცეულ, განერვიულებულ, გაკაწრულ და დადორბლილი ადამიანების აგრესიისაც არ ეშინიათ, პირიქით, უფრო იღრინებიან. მართალია, ძაღლი ცხოველია და რას მოსთხოვ, მაგრამ მათი ასეთი ქცევა ვიღაცას ხომ მაინც უნდა აწუხებდეს. ადამიანები ძაღლებს გვერდს კი არ უნდა აუვლიდნენ, პირიქით, ფიქრობდნენ იმაზე, დაიცვან წაქცეული, ატირებული პატარები თუ დიდები. უნდა გამოიძებნოს რაიმე გზა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაწანწალა ძაღლების თავიდან მოშორებისთვის. ხობში მომრავლებულ უპატრონო ძაღლებზე ზრუნვა ვინმეს ხომ უნდა დაეკისროს. მართალია ძაღლის მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ხომ უნდა გაკეთდეს სასიკეთო საქმე–თავშესაფარი ძაღლებისთვის. საშინელია სკოლების ფოიეებსა და ეზოებში ბავშვზე „მონადირე“ ბინძური ძაღლების ნახვა და თარეში და განა მარტო სკოლების, არამედ ქალაქში არსებული შენობების შიგნით მოსეირნე ძაღლების ხილვა, ასევე ქუჩებისა და საერთო საცხოვრებლების სადარბაზოები და მოასფალტებული ტროტუარები, ბილიკები რომ სავსეა ძაღლებით, რაც გულსატკენია.

ამასწინათ გახრწნილი, მკვდარი ძაღლი სასაფლაოზე შესასვლელის სიახლოვეს ეგდო მანამ, სანამ საფლავების მეპატრონეები არ ჩაერევნენ, მანამდე თავი არავის შეუწუხებია.

ადრე წლებში, მიუსაფარ ძაღლებსა თუ სხვა ცხოველებს კომუნალური სამსახური აქცევდა ყურადღებას და მიუჩენდა სათანადო ადგილს. დღეს კი ძაღლების, მოვლა და ხალხის მათგან დაცვის ფუნქცია არავის აკისრია თურმე, ამ სტატუსით არავინ სარგებლობს. მიუსაფარი ძაღლები ხელშეუხებლები ყოფილან!!!

საინტერესოა, ზემდგომი ინსტანციები თუ დაფიქრდებიან ამაზე და ქუჩაში, ძაღლების მიერ დაკაწრული, ნაკბენი და დადორბლილი ადამიანების ბედი ააღელვებთ. ქუჩაში უკვე გაუსაძლისია სიარული, არადა ჯოხებითა და ხელკეტებით შეიარაღებულად ადამიანებს განა შეუძლიათ დგომა და სიარული? არ ვიცი ვინ, მაგრამ ვიღაცამ, ვისაც ნაწილობრივ მაინც ევალება ეს, ან გული შესტკივა ხობზე, ადამიანებზე, მით უფრო პატარებზე, ყურადღება მიაქციეთ ამ პრობლემის მოგვარებას. დაფიქრებულხართ ვინმე იმაზე, ძაღლი, რომელიც ბავშვს ხელებიდან საჭმელს სტაცებს და კაწრავს, დაავადებული რომ აღმოჩნდეს რა მოელის მას ან თქვენ?

ყველაზე გულსატკენია, რომ ქალაქის სკოლების ეზოებსა და დერეფნებში კი მრავლად არიან მიუსაფარი ძაღლები და ბავშვებს ხელიდან სტაცებენ საჭმელს...

ბატონებო და ქალბატონებო! იზრუნეთ ამაზე! „სანამ გვიანი არ იქნება თითზე კბენანი!“ და ბოლოს, რითაც დავიწყეთ–ძაღლი ადამიანის მეგობარია და მოვლა-პატრონობას ითხოვს.

მინაწერი:

იმის გასარკვევად, ვის ევალება მათი მოსახლეობიდან გარიდება, ან თავშესაფარში წაყვანა, განმარტებისთვის მივმართეთ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ბატონ ზაზა ბუკიას, რომელმაც გაგვიმარტა, რომ მიუსაფარი ძაღლების თავშესაფარში წაყვანის და პატრონობის შესახებ მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (ერთი ძაღლის პატრონობის ღირებულება განისაზღვრა 90 ლარის ოდენობით) გამარჯვებული არ გამოვლინდა. ამჟამად თანხა გაიზარდა და ხელმეორედ გამოცხადებული ტენდერის შედეგებს ელიან, რაც საიმედოა... სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, უნდა მოხდეს ცხოველთა იზოლირება ჰუმანური, უმტკივნეულო მეთოდით–ლასოთი (ბადით და მათი თავშესაფარში გადაყვანა. გამოკვლევების შემდეგ, დამუშავება ჭიებზე, ბაქტერიებზე, პარაზიტებზე. ასევე, სტერილიზაცია) კასტრაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია და ყველა საჭირო პროცედურის შემდგომ, ძაღლების ბუნებრივ არეალში დაბრუნება.

დაველოდოთ!!!

ნანი კილასონია

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.